დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2024 წლის 30 აგვისტო

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დამტკიცების თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დამტკიცების თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №28 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 03/10/2014, ს/კ 010250020.35.152.016192) შეტანილ იქნეს ცვლილება. კერძოდ, დადგენილების №1 დანართის სახით დამტკიცებული ჩამონათვალის („დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები და მათში შემავალი დასახლებები“) მე-6 სტრიქონი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

6	გრემისხევის ადმინისტრაციული ერთეული	სოფლები: ციხისუბანი, ქედელობა, ციგრიაანთკარი, ძველი ბურღული, არბოეთი, თხილოვანა, მიქელიანი, პეტრიანი, ახალი ბურღული, ქარქუშაანი, ტონჩა

“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **კახაბერ ჩიტაური**